ოქმი #11

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 05 ივლისი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ე. საღინაძე, გ. გოგებაშვილი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, ნ. ბურჯალიანი, გ. გურგუჩიანი, ბ. ახვლედიანი, ნ. ტვილდიანი, მ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, დ. მურცხვალაძე, რ. ყურაშვილი, ა. თვარაძე, ა. მახარობლიძე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე: მ. ხიმშიაშვილი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: ს. გვიშიანი
მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: დ. ჩაკვეტაძე
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ი. ბურჯალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ.ზალკალიანი, მ.ლეთოდიანი/

2. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

3. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, დ. ჩაკვეტაძე/

განკარგულებები:

1. ქალაქ ცაგერში, თავისუფლების ქუჩის მარცხენა მიმართულებისთვის სახელის გადარქმევის და ლალი ჩიქოვანის სახელის მინიჭების თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქ. №28-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული პოლიციის ყოფილი შენობის (ს/კ-89.03.22.014) გასაქირავებელი ფართის - 37.52 კვ.მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ლარცულიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი/

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის №1085 განაკარგულება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2748000 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში, ხოლო ხარჯებში მუნიციპალიტეტის მერია (მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით სამგზავრო ავტობუსების შეძენა).

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ ბიუჯეტით დამტკიცებული პრიორიტეტის ფარგლეში ზოგიერთი პროგრამის და ქვეპროგრამის განხორციელებისთვის მიმდინარე ეტაპზე წარმოშობილია ფინანსური პრობლემები, კერძოდ: ,,საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ დამტკიცებული ბიუჯეტით ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხები ფაქტიურად თვისებულია, მერიის შესაბამისი სამსახურების მონაცემებით მიმდინარე ეტაპზე საჭიროა ეს პროგრამა გაიზარდოს 80,0 ათ ლარით, საიდანაც 60,0 ათ ლარი უნდა იქნას გათვალისწინებული ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვისთვის, 20,0 ათ. ლარი კი გამოყენებული იქნას სტიქიური მოვლენების შედეგების

ლიკვიდაციის მიზნით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებულ სამუშაოებს და ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, სადაც აუცილებელია ზოგიერთი პროექტისთვის თანადაფინანსების სახით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს თანხა, აღნიშნული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით შემცირდეს წყლის სისტემების განვითარება, წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია, სანიაღვრე არხების მშენებლობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია, რეგიონალური პროექტების პროექტირება და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება, დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება და გაიზარდოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და სოფლის დახმარების პროგრამა.

ასევე კულტურული ღონისძიებების ნაწილში მოხდა 15 000 ლარის მუხლიდან მუხლში გადატანა.

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, კ. მუშკუდიანმა, რ. ხეცურიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ

კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 1

2. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' დადგენილება არეგულირებს: საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის, ნარჩენების მართვის კოდექსის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადგენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების სამართლებრივ საფუძვლებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ნარჩენების მართვის კოდექსში და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' საკრებულოს დადგენილების პროექტი. პროექტის მიხედვით დადგენილი იქნა ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური. შემუშავდა სამართალდარღვევის ოქმის ახალი ფორმა, რომელზედაც დატანილი სამი დამცავი ნიშანი, შედგება 2 ნაწილისაგან: სამართალდარღვევის ოქმი და საჯარიმო ქვითრის ყუა. სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის. სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული სამართალდარღვევისათვის. პროექტში განსაზღვრულია შევსების წესი, რაც საშუალებას აძლევს მერიის სამსახურს, ადგილზე შეავსოს ოქმი, თუ დარწმუნდება, რომ ადგილი აქვს სამართალდარღვევას. კონტროლის განხორციელების პროცედურული საკითხები, ხელს შეუწყობს ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამართალდარღვევებზე კონტროლის მექანიზმის გაძლიერებას. პროექტს თან ახლავს დანართები, რომლებშიც მოცემულია იმ აუცილებელი დოკუმენტების ფორმები, რომლებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მერიის სამსახურების მუშაობას ამ კუთხით.

აზრი გამოთქვეს: მ. ხაბულიანმა, რ. ხეცურიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

3. შეტანის „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, დ. ჩაკვეტაძე/

მომხსენებელმა - მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დავით ჩაკვეტაძემ წარმოადგინა „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში მთელი რიგი ცვლილებები:

1. მე-6- მუხლის მე-2 პუნქტის „გ“-ქვეპუნქტი- ქირავნობის ხელშეკრულების ასლი შეიცვალა და ჩამოყალიბდა- გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი; ჩამონათვალს დაემატა გამქირავებლის საბანკო ანგარიში.
2. მე-8 მუხლში 3-პუნქტში მერიის გადახდილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლარს ნაცლად 1000 ლარისა .
3. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში დაფიქსირებული მატერიალური შემოსავალი ნაცვლად 1000ლარისა იქნება 2000 ლარი.
4. მე-8 მუხლის მე-5 -პუნქტად ჩაემატოს:
5.ამ პროგრამის ფარგლებში არ ანაზღაურდება:
ა) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;
ბ) ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;
გ) მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები (საკეისრო კვეთა არასამედიცინო ჩვენებით ან პირადი ექიმის აყვანასთან დაკავშირებული ხარჯები);
დ) სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;
5. მე-8 მუხლის პუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს მე-4 ნუმერაციის ქვემოთ.
6. მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის ფორმულირება შეიცვალოს შემდეგნაირად:
მე-8 მუხლის, მე-7 პუნქტით მოსარგებლე ოჯახებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 150-დან 300 ლარამდე საბჭოს გადაწყვეტილებით.
7. მე-8 მუხლის მე-9 პუნქტში „ე-ქვეპუნქტად ჩაემატოს“: ე) ჩასატარებელ სამკურნალო ღონისძიებების შესახებ წინასწარი კალკულაციის წარმოდგენის შემთხვევაში მერია გასცემს საგარანტიო წერილს.
8. მე-8 მუხლის მე-11 -პუნქტად დაემატოს:
11. მე-8 მუხლის, მე-9 პუნქტის ქვეპუნქტი-„ე“-ს შემთხვევაში მოქალაქის მიერ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებას უგზავნის წერილს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადით. წერილი გაიცემა ბენეფიციარზე წინასწარ ან სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის პერიოდში. ანგარიშსწორება მოხდება სამედიცინო დაწესებულებიდან მოწოდებული შემდეგი დოკუმენტაციის შემდეგ:
ა) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N IV-100/ა და / ან კვლევის შედეგ;
ბ) ამგარიშ-ფაქტურა, სადაც მითითებული იქნება მკურნალობის მთლიანი ხარჯი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, სადაზღვეო პროგრამით და/ან სხვა გზით გათვალისწინებული მკურნალობის თანადაფინანსება და პაციენტის გადასახდელი წილი.

9. მე-8 მუხლის შემდეგ დაემატოს ახალი მუხლი 8₁ - განსაკუთრებით ძვირადღირებული გამოკვლევებისა და ოპერაციების თანადაფინანსება, რომელიც აღემატება 5000 ლარს.
10. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ფორმულირება შეიცვალა-მაღალმთიანობის სტატუსის მქონე ორსულის (ან მეუღლის) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე .
1. 11. 23-ე მუხლის მე-11 პუნქტის ჩამონათვალს დამატა მუხლები-21, 22, 22₁.

აზრი გამოთქვეს: მ. მურცხვალაძემ, მ. კოპალიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ქალაქ ცაგერში, თავისუფლების ქუჩის მარცხენა მიმართულებისთვის სახელის გადარქმევის და ლალი ჩიქოვანის სახელის მინიჭების თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, ე. საღინაძემ, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქ. №28-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული პოლიციის ყოფილი შენობის (ს/კ-89.03.22.014) გასაქირავებელი ფართის - 37.52 კვ.მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცაგერის მერიას 2021 წლიდან პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული გვქონდა დაინტერესებულ პირზე ქ.ცაგერში თამარ მეფის N28-ში მდებარე ერთი ოთახი 37,52 კვ.მ. მიმდინარე წელს გავიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და აღნიშნული პიროვნება ითხოვს ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას. აღნიშნულ ფართზე ფუნქციონირებს ფიზიოტერაპიის ცენტრი (ელექტრო და ფონო ფორეზი, კვანტური ლაზეროთერაპია, ელექტროსტიმულაცია, ბავშვთა გამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟი, ტრენაჟორები) ცენტრის გახსნის დღიდან იმატებს მომხმარებელთა რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ საყრდენ მამოძრავებელი სისტემის რეაბილიტაცია (ოსტეოქონდროზი, თიაქარი, ართროზი და ა.შ.) აღნიშნულიდან გამომდინარე,რადგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნული 37,52 კვ.მ.გადაეცეს დაინტერესებულ პირს პირდაპირი განკარგვის წესით 1 (ერთი) წლის ვადით 2024 წლის 01 ივლისამდე.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, გ. გუგავამ, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

3. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ლარცულიანი/

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სოფო გვიშიანმა გააკეთა განმარტება, რომ საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულების საფუძველზე ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000 ლარი, რომელიც დადგენილი წესით გადანაწილდა სოფლების მიხედვით, რომლის შესაბამისად მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის დაზუსტების შემდეგ საჭიროება შეიქნა ზოგიერთი ცვლილების განხორციელება, კერძოდ; სოფელი კენაშში, მახურაში, ცხუკუშერში, წილამიერში და ლახეფაში 2022 წელს სოფლის კრებებზე დაიგეგმა შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, მაგრამ კარიერის არ არსებობის გამო პროექტების განხორციელება შეუძლებელი გახდა და 45248 ლარი აუთვისებელი დარჩა, შესაბამისად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში 2023 წელს კვლავ ანალოგიური სამუშაოების ჩატარება დაიგეგმა, შესაბამისად 2022 წლის ნარჩენი და 2023 წლის გამოყოფილი თანხები სრულად მოხმარდება აღნიშნულ სოფლებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის განხორციელებას. 2022 წელს სოფელ სურმუშში დაიგეგმა საავტომობილო გზის გასწვრივ ბაგირული ზღუდარების მოწყობა, რაც ვერ განხორციელდა, ხოლო მიმდინარე წლისათვის დაიგეგმა გარე განათების მოწყობის სამუშაოები რასაც მოხმარდება ნარჩენი და მიმდინარე წლისათვის გამოყოფილი თანხა 20 000 ლარის ოდენობა. 2022 წელს სოფელ ზედა დეხვირში დაიგეგმა გარე განათების მოწყობა, მაგრამ პროექტი არ განხორციელებულა, აღნიშნული სამუშაოს განხორციელება დაგეგმილია მიმდინარე წლისათვის, რასაც მოხმარდება ნარჩენი თანხა 2 500, ხოლო 2022 წელს ნარჩენი თანხა 2500 ლარის ოდენობით მოხმარდება ზედა დეხვირის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას. 2023 წელს სოფელ ლასურიაშის ფანჯარაძეების უბნის გარე განათების მოწყობისათვის გამოყოფილმა თანხამ 1000 ლარი შეადგინა, მაგრამ პროექტირების დროს განიცადა ცვლილება და ნარჩენი თანხა 330 ლარის ოდენობით მოხმარდება ამავე უბანში გზის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, სულ 1330 ლარის ოდენობით. 2023 წელს სოფელ ნაკურალეშში დაიგეგმა ამბულატორიის შენობის იატაკის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რადგანაც ამბულატორია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ აღირიცხება, წარმოდგენილი საპროექტო წინადადება შეიცვალა და დაიგეგმა სპორტული დარბაზის იატაკის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც საჭიროა 6470 ლარი, ხოლო ნარჩენი თანხა 1530 ლარის ოდენობით გადანაწილებული იქნა სასმელი წყლის რეაბილიტაციის საპროექტო წინადადების განხორციელებაზე 3530 ლარის ოდენობით, ხოლო სოფელ სპათაგორში განხორციელდება სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯება 10 000 ლარი. ამასთან ერთად სოფლების წინაშე არსებული პროექტების მოგვარების მიზნით აუცილებელი შეიქმნა სოფელ ლასურიაშისა და ლაცორიის წყალსადენებისა და სოფელ ტვიშის სასოფლო გზისრეაბილიტაციის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების მუხლიდან გამოყოფილი იქნას 21 700 ლარი.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგებაშვილმა, თ. ნემსწვერიძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: **ჭაბუკი ჭაბუკიანი**